



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 04

13 01 2017 წელი

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 იანვრის სხდომის N2 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 იანვრის N03/367 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 13 იანვრის N65-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ს ქალაქ მარნეულში, ერეკლე მეორეს ქუჩა N5-ში მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი.მ. „თორნიკე ეგრისელაშვილი“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 766 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/2-400 კვ.მ, 02/1-23 კვ.მ, 03/1-23 კვ.მ, 04/1-15 კვ.მ, 05/1-14 კვ.მ).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აღმაშენებლის ქ. N44“-ის თავმჯდომარემ ნელი კილინკაროვამ (პ/ნ. 28001006347), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევო